ო. ბაღათურია

დედამიწა კი მიჰქრის....

(107000 კმ. სთ-ში)

პიესა ერთ მოქმედებად

2020წ.

მობ: 595 32 95 70

მოქმედი პირნი:

კოკა - ახალგაზრდა ტელეჟურნალისტი, ძალიან უნდა კინოს გადაღება.

კოკას დედა - ძალიან უნდა ემიგრაციიდან დაბრუნება.

ნანუცა - 16 – 17 წლის გოგო, ძალიან უყვარს კოკა.

ზურა - კინორეჟისორი, ძალიან უნდა ამერიკაში.

ქეთა - დაბნეული გოგო, ვერ გაუგია ბუთა უყვარს თუ ნიკუშა.

თათა - ქეთას დაქალი, ქეთას ასლი.

ბუთა - პატიმარი, სიგიჟემდე უყვარს „ეს ჩემისა“ ქეთა.

ნიკუშა - ყველას ძმაკაცი, ხშირად დაბოლილია, ოცნებობს ტომი ბენეტის და კეიტ ჯანეტის მოსმენაზე.

ავთო - გამოდის რო ნარკოდილერია...

ირაკლი - კერძო ტელევიზიის ხელმძღვანელი, დანის პირზე დადის... ხშირად ორ ცეცხლშუა ხვდება...

ლოლა - ჟურნალისტი ქალი, თავს არ ზოგავდა, მაგრამ მაინც მოისროლეს.

ნინი - დამწყები ჟურნალისტი, ძალიან უნდა ტელევარსკვლავობა.

ნუცა - დევნილი მოხუცი, ეგუება ყველანაირ სიტუაციას, მორიგეცაა, დამლაგებელიც, კურიერიც, ამბების მიმტან მომტანი და ყველას დამხმარე.

ნუგზარი - პოლიტიკოსი, ბიზნესმენი.

თენგიზი - ბიზნესმენი, პოლიტიკოსი.

კაცი ფარული კამერით - დევნილი, ყველაფერზე წამსვლელია, ხშირად ცემენ.

(ეკრანზე მოჩანს კოსმოსიდან გადაღებული დედამიწა, რომელსაც უახლოვდება კამერა, თანდათან იკვეთება ოკეანეები, კონტინენტები, მთები, მდინარეები, გამოჩნდა ევროპა, კავკასია, აქ რაღაც აფეთქებებია... საქართველო, თბილისი, საბურთალო, ნუცუბიძის ქუჩა. 8 სართულიანი კორპუსი, მერვე სართული, 2 ოთახიანი ბინა... ნათდება სცენა და სწორედ ამ ოროთახიან ბინას ვხედავთ. ეტყობა წუხელ აქ ახალგაზრდებს უქეიფიათ... მაგიდა აულაგებელია, მაგიდაზე ახალგაზრდა კაცს თავი დაუდია და სძინავს...

ტახტზეც სძინავს ვიღაცას, პლედიდან ფეხი მოუჩანს... შემოდის ბინის პატრონი, ათვალიერებს იქაურობას, ხელში ბორჯომის ცარიელი ბოთლი უჭირავს, ნაბახუსევია, უყურებს პლედიდან გამოყოფილ ფეხს, ცდილობს გაიგოს გოგოა თუ ბიჭი... მგონი გოგოა-დაასკვნა... უყურებს ნასუფრალ მაგიდას)

კოკა - აუ... ამას რა აალაგებს (მიდის ტუალეტისკენ, კარი დაკეტილია) - ეე!... რომელი ხარ?

ნიკუშა - მე ვარ, მე...

კოკა - ვინ შენ?

ნიკუშა - ნიკა ვარ... ნიკუშა. გამოვდივარ...

(რეკავს კოკას მობილური)

კოკა - ჰო დე გავიღვიძე (ეკრანზე ჩანს კოკას დედა, მისი ხმა არ გვესმის, მაგრამ ტექსტის გარეშეც კარგად ვხვდებით რას განიცდის კოკას ემიგრანტი დედა... ვხედავთ მის თვალებს... კიდევ კარგი კოკა ვერ ხედავს ამ თვალებს) არა არ მაგვიანდება, როდის გითხარი გამაღვიძე მეთქი? გითხარი? ჰოდა კარგი, გავიღვიძე უკვე... მადლობა დე, არა აღარ დავიძინებ, ავდექი უკვე... შენ როგორ ხარ დეე.. ჩემზე ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგადაა... კი... სცენარი დავამთავრე... ფული გამოჩნდება... კარგი სცენარია. არა დე, არ გინდა ნანუცას შეწუხება, მიალაგეს უკვე... ვინ? რა ვინ? კარგი რა დე არ არი პრობლემა... საფლავზე დავდივარ... როგორ არა დავდივარ... აბა კარგად დე... მეც გკოცნი და ნუ ნერვიულობ(დედის გამოსახულება ეკრანზე ქრება)

ნიკუშა - (ტუალეტიდან გამოდის ნიკა) გაიღვიძე ბელმონდო?...

კოკა - შენა ხარ? ღამე აქ დარჩი? (ანიშნებს ტახტზე) ეს ვინ არი?

ნიკუშა - ქეთაა, დათვრა ეს სულელი და ვეღარ წავიყვანე.

კოკა - ბიჭო!... თქვენ ხო არ გარეკეთ? რა არი, მე აქ ბორდელი მაქ? ერთად იწექით?

ნიკუშა - ჰო...არა... შენ რაც იფიქრე ის არა ტო.

კოკა - შენ რა იცი მე რა ვიფიქრე?!

ნიკუშა - რას იფიქრებდი გაჟიმაო... ჰოდა არა მეთქი...

კოკა - დაგიჯერე, როგორ არა... ბიჭო ბუთა სულ ციხეში კი არ იქნება, გამოვა და ცოცხალს არ გაგიშვებს.

ნიკუშა - მე რას მერჩის ტო...

კოკა - გოგას რატო არ გაყვა?

ნიკუშა - გოგა წუხელ აქ არ ყოფილა

კოკა - გოგა არ იყო? აბა თამადა ვინ იყო?

ზურა - (მაგიდიდან თავი ასწია) თამადა მე ვიყავი...

კოკა - მაგრა დავმთვრალვარ,... და შენ რო არ სვამ? დალიე?

ზურა - აბა ფხიზელმა თქვენ როგორ უნდა გიყუროთ (დადო თავი მაგიდაზე)

(კოკა ტუალეტში შედის)

ქეთა - (წამოვარდა ტახტიდან) დებილო! დებილო! დებილო! რატო უთხარი ქეთაარ... დეგენერატო!...

ნიკუშა - აბა რა მეთქვა, დაგინახა.

ქეთა - რა დამინახა... ვინაარ იკითხა? (სწრაფად იცვამს) მომეხმარე (ნიკუშა ეხმარება, ზურამ თავი ასწია, შეხედა ნიკას და ქეთას და ისევ დადო თავი მაგიდაზე)

ნიკუშა - აბა რა მეთქვა?

ქეთა - არ ვიცი თქო ვერ უთხარი? რა ვქნა ახლა?

(შემოდის კოკა)

ქეთა - კოკა რა არი იცი? ისა... გვიან იყო და ვეღარ წავედი... თქვენი ბრალია, რატო დამალევინეთ იმდენი... ვაიმე!... სუფრა არ ავალაგეთ? ახლავე... (იწყებს ალაგებას და მაშინვე მიატოვებს) ოღონდ ჯერ ისა... ბოდიში (გარბის ტუალეტში) არ აალაგოთ რა...

კოკა - (იწყებს სუფრის ალაგებას. ნიკუშა ეხმარება) ბიჭო, ჩემ ლოგინშიც წევს ვიღაცა...

(შემოდის თათა)

თათა - მოსაწევი აღარ გვაქ?... (ზურამ ისევ წამოწია თავი)

ნიკუშა - არა.

თათა - (კოკას) ყავა დაგვრჩა?

კოკა - არ ვიცი... (თათა სამზარეულოში გადის) ბიჭო, ეს ვინ არი?

ნიკუშა - მეღადავები? მართლა არ გახსოვს?

კოკა - არ მახსოვს...

ნიკუშა - თათა, ქეთას დაქალია, მთელი საღამო, მაგას ეჩალიჩებოდი... გაჟიმე?

კოკა - არ მახსოვს... ალბათ... აუ ჩემი, ეგრე დავთვერი?

(ზურამ თავი წამოწია)

ზურა - გითხარი მე შენ, იძირები... დროზე უშველე თავს (იძინებს)

თათა - ყავა არ გვქონია (ტუალეტიდან გამოვიდა ქეთა, გოგოები ჩურჩულებენ, დროდადრო კოკასკენ იხედებიან და იგუდებიან სიცილით)

ნიკა - (მესიჯის სიგნალია ნიკას მობილურზე, კითხულობს) ბუთას მესიჯია, ფული უნდა ალბათ... (კითხულობს) შესირო... რაო? შესირო... კოკა შესირო რა არი?

კოკა - შე სიროო... ერთად წერს...

ნიკა - შე სიროო?! როგორ მელაპარაკება ტო?... (კითხულობს) რატო დამივიწყე? მე დავივიწყე ტო?... (კითხულობს) ორმოცდაათი ლარი ჩამირიცხე... სად არი ორმოცდაათი ლარი... (კითხულობს) ქეთა როგორ იქცევა? - როგორ იქცევაო? რა ვუპასუხო (ქეთას) როგორ იქცევი? (ქეთა იცინის და მაღლა აწეულ ცერს აჩვენებს) ძაანაც კარგად იქცევა...

ქეთა - გარეთ რო იყო ხო შემჭამა ცოცხლად, მაგრა ვუყვარვარ... ახლა იქიდან მაკონტროლებს... მანიაკია რა... (კოკას) თათა ჭკუაზე არ არი... რა ქენით ამისთანა (იცინის. ნიკუშას მოუბრუნდა) შენ კი ჭკვიანად თუ არ იქნები ყველაფერს ვეტყვი ბუთას…

ნიკუშა - ჭკვიანად არა ვარ?

(თათამ კოკას კინოსცენარს მიაგნო)

თათა - ვაუ!... ეს არი შენი სცენარი? რა საინტერესოა... (ფურცლავს)

კოკა - საიდან აიღე, დადე ადგილზე! დადე...

თათა - რა გაყვირებს... სულ არ მაინტერესებს შენი კინო... რა ვიცი უნდა გადაგიღოო... მკიდია შენი კინო... აჰა... (გადაუგდო სცენარი და ფურცლები იატაკზე გაიშალა) ვაიმე კოკა არ მინდოდა, მაპატიე, მოგეხმარები...

კოკა - ხელი არ ახლო!... (კრეფს ფურცლებს)

თათა - არ გინდა ნუ გინდა, ჩაგიფსი კინოში...

ქეთა - ნახვამდის... კოკა არ გამიბაზრო ხო?!... (ნიკას) შენ არ მოდიხარ?

ნიკა - მოვდივარ, ბელმონდო ორმოცდაათი ლარი მასესხე რა...

კოკა - ოცი ლარი მაქვს (აძლევს)

ნიკა - გითხარი ავთოს რაღაც სერიოზული საქმე აქვს მეთქი?

კოკა - არა.

ნიკა - გეუბნები, ავთომ სერიოზული საქმე მაქვსო... ამათ გავაცილებ, ავთოს ვნახავ და დავბრუნდები, მერე ზურას წავიყვან.

ზურა - შენ სად უნდა წამიყვანო... შენ რა იცი მე სად მინდა...

ქეთა - კოკა არ გამიბაზრო რა... (კოცნის ლოყაზე, თათაც კოცნის კოკას და გოგოები გადიან)

(ზარია კოკას მობილურზე. დედა ჩნდება ეკრანზე)

კოკა - ჰო დე... რა დაგავიწყდა? არა, არ ვსვამ, არა მეთქი... დე ისე ნუ იზამ, რო რასაც მანდ შოულობ ჩემთან ლაპარაკში დახარჯო... არა დე, არ ვსვამ არა... მგონი საერთოდ აღარ დავლევ... დე არ ინერვიულო და მალე ჩამოდი, მომენატრე. გადაღება? ხო გითხარი ფულს ველოდები, არა დე შენ რა უნდა გამომიგზავნო... დავდივარ საფლავზე, დავდივარ... სამი დღის წინ ვიყავი. მოვლილია აბა რა... ფულს ვაძლევ გალინას და უვლის, თურმე იცნობდა მამას... ჰო ახლა გალინაზე იეჭვიანე... ტელევიზიაში? ხელფასს მაძლევენ აბა რაა... (პაუზაა, თითქოს ერთმანეთის სუნთქვას უსმენენ დედა შვილი... დედა კოცნას უგზავნის კოკას და ქრება)

ქეთა - (შემოდიან ქეთა, თათა და ნიკა) ტელეფონი დამრჩა... კოკა დამირეკე რა

კოკა - არ ვიცი შენი ნომერი...

ქეთა - (ნიკუშას) შენ დამირეკე (ნიკუშა ურეკავს) ვიპოვეე. (გადიან)

ზურა - (კოკას) რა დღეში ხარ ბიჭო, რა ქენი მოიფიქრე რამე?

კოკა - რაზე მეკითხები?

ზურა - მოდიხარ?

კოკა - კინო მინდა გადავიღო... იქნებ ვიშოვო ფული.

ზურა - შანსი არ არი, შენ აქ ფულს ვერ იშოვი, შენ რო კინო გინდა გადაიღო, ეგეთი კინოსთვის აქ ფულს არავინ მოგცემს... აქ როგორ უნდათ იცი?! გაუგიათ პური და სანახაობაო... პური ხო არა აქვთ და სანახაობა უნდათ ისეთი რა, რო თან ვითომ

ხელოვნებაა და თან ძალიან იაფფასიანი... აი რო, ხა..ხა..ხა.. ხი..ხი..ხი... ეს უნდათ რაღაც ტაკიმასხრული, ამაში დებენ ფულს... შენთვის და ჩემთვის აქ ოცი ოცდაათი წელი არაფერი შეიცვლება და ვიჯდებით სირებივით ამ ცაფირუზხმელეთზურმუხტოვან დედააფეთქებულ სამშობლოში, ამასობაში დავბერდებით, დრო ხო გადის, დედამიწა ხო ბრუნავს და მიქრის... იდიოტი ხო არა ხარ... რა გინდა აქ, მოგწონს რასაც აკეთებ? უფრო სწორედ რასაც გაკეთებინებენ? ეგ შენი ტელევიზია მართლა დემოკრატიის კუნძულია?... გამოგიყენებენ და მერე მიგაჭყლეტენ კოღოსავით სადმე... დამიჯერე დროზე მოვხიოთ აქედან. ამათ ჩვენ იდიოტები ვგონივართ... და როგორც იდიოტებს ისე გვექცევიან... ხარ იდიოტი?

კოკა - რატო ვარ იდიოტი?

ზურა -ხოდა თუ არა ხარ იდიოტი რას ელოდები... რო იცოდე, იქ უფრო ადვილად გადაიღებ კინოს, იმათ შებმას რა უნდა, ცოტა გენდერული პრობლემები, ცოტა ლგბტ თემა შეურიე სცენარში და ეგ არი...

(ზარია კარზე)

კოკა - რა დაგრჩათ კიდევ (აღებს კარს, კარებში დგას ნანუცა თექვსმეტი ჩვიდმეტი წლის გოგო) შემოდი ნანუცა (პაუზა) გინდოდა რამე?

ნანუცა - არაფერი (პაუზა) დოდო დეიდამ დამირეკა და მთხოვა, ხანდახან მოიკითხე, რამე ხომ არ სჭირდებაო, დაეხმარეო... გჭირდება რამე? (ზურა სიგარეტს უკიდებს და გადის აივანზე)

კოკა - დედაჩემი ხშირად გირეკავს?

ნანუცა - არა.

კოკა - ტყუილი არ მითხრა, გირეკავს და გეკითხება როგორ იქცევაო ხო?

ნანუცა - ხანდახან კი.

კოკა - და შენ რას პასუხობ?

ნანუცა - რა უნდა ვუპასუხო, კარგად იქცევა მეთქი...

კოკა - მატყუებ?

ნანუცა - არა, დედას გეფიცები.

(აქ ასეთი უცნაურობა ხდება, კოკა და ნანუცა რასაც ფიქრობენ გვესმის)

კოკას ფიქრი - რატო ვიძაბები... ეს ის ნანუცა არ არის მუხლებზე რო მეჯდა და ზღაპრებს ვუყვებოდი?!... როგორ გაიზარდა, დაქალდა

ნანუცას ფიქრი - არ უნდა შემოვსულიყავი, რას იფიქრებს ჩემზე... რა უნდა იფიქროს, საერთოდ არ მამჩნევს... უნდა წავიდე... როგორ წავიდე?... ხო არ მოვტრიალდები და წავალ... რა ვქნა?

კოკას ფიქრი - ჰე მოყევი რამე, როგორც ადრე, გააცინე ნანუცა, რაო დებილო ვერაფერი მოიფიქრე?

ნანუცას ფიქრი - ნუ მიაჩერდები ასე შტერივით.

კოკა - ნანუცა გახსოვს ბანუცას რო გეძახდი?

ნანუცა - მახსოვს, ვბრაზდებოდი... შენ იცინოდი.

კოკას ფიქრი - ეს მოიფიქრე? ეს სასაცილო იყო?

ნანუცას ფიქრი - ახლაც ბანუცასავით მიყურებს, ქალად არ მთვლის. ავდგები წავალ და ერთი გულიანად ვიტირებ.

კოკას ფიქრი - მგონი წასვლა უნდა... არ გაუშვა. (ხმამაღლა) ყავას დალევ?

ნანუცა - დავლევ, ახლავე მოვადუღებ. (გადის სამზარეულოში, შემოდის ზურა)

ზურა - ნანუცა სადაა, გაუშვი?

კოკა - სამზარეულოშია...

ზურა - უყვარხარ მაგ გოგოს...

ნანუცა - არ გქონია ყავა... მოვიტან (გადის)

(კარზე ისტერიული ზარია. შემორბის ნიკუშა)

ნიკუშა - კოკა, თუ დარეკეს არ გაუღო რა...

კოკა - რა მოხდა

ნიკუშა - პატრული მომდევს!...

ზურა - მერე აქ რას მორბოდი?

ნიკუშა - შენთან არ მოვსულვარ კუკური...

კოკა - სადარბაზოში შემოგყვნენ? (ზურა გადის)

ნიკუშა - არა ტო დავითესე, რო მოვწვი ეგრეევე მოვტყდი... (ძლივს სუნთქავს) აუ ჩემი რა ვირბინე, ნაგლები, ორი კვარტალი მდიეს...სუნთქვა არ მივარგა, სიგარეტი უნდა გადავაგდო... ვარჯიში უნდა დავიწყო... კიდე კაი ლიფტი მუშაობდა... (ზურა შემოვიდა)

ზურა - რა იცი რო შენ მოგდევდნენ?

ნიკუშა - აბა ვის მისდევდნენ!.. (ზურა იცინის). რა... ტყვილა ვირბინე?

ზურა - რა ვიცი, პატრული შენ ვერ დაგეწეოდა?

(შემოდის ნანუცა)

ნანუცა - ყავა მოგიტანე.

ნიკუშა - პატარა გოგო, რა ნაცნობი სახე გაქვს, მე მიცნობ?

ნანუცა - არა.

ნიკუშა - ნიკა

ნანუცა - ნანუცა

ნიკუშა - რა კარგი სახელი გაქ, ნანუცა, ასწორებს. ბელმონდო გითხარი შენთან საქმე მაქვს მეთქი?

კოკა - ავთოს აქვს საქმეო...

ნიკუშა - ავთოს ხო... რა უნდა არ ვიცი... მეც მაქვს საქმე.

კოკა - გისმენ...

ნიკუშა - ბელმონდო ფული ხო გინდა ტო... ეგ შენი კინო ხო უნდა გადაიღო... მეც ხო უნდა გადამიღო... რაზეა შენი კინო? ხო უნდა ვიცოდე, მოვემზადო... კაროჩე ბანკი იძლევა კრედიტს, ჩავდებთ შენს ბინას... ვიღებთ იჯარით მიწას, ვხნავთ, ვთესავთ ქართულ ხორბალს, არჩევანი დიდია-თავთუხი, (კითხულობს მობილურში) უფხო, შავფხა, სპარტანკა, ეს თუ ქართულია... ლომთაგორა

ზურა - ეგენი საიდან გაიგე? დაგუგლე?

ნიკუშა - მომისმინე ბოლომდე, ვთესავთ ქართულ ხორბალს, მოგვყავს ბიო მოსავალი, ბიოა ახლა ხოდში, ბიო პროდუქტები, არც სასუქი უნდა და არც შეწამვლა და რამე... მოვლაც არ უნდა, საჩვენო საქმეა.ვიგებთ ოთხმაგს, ვთქვათ სამმაგს... ნუ ორმაგს ყველა ვარიანტში ვიგებთ, გაწყობს? მერე რო გავშლით ბიზნესს ევროპაში გავიტანთ ქართულ ბიო ხორბალს... იქ ვაფშე სხვა დონეა... იქ ათმაგს ავიღებთ... თქვი რამე ბელმონდო...

კოკა - ნიკა ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა ბიზნესი...

ნიკუშა - რომელი, ქიშმიშის? ეე კუკური ცუდი იდეა იყო? ერთ ლარად ვიყიდეთ რქაწითელი, გავახმეთ და ქიშმიში უნდა გაგვეყიდა თხუთმეტ ლარად... არ გაგვიმართლა, სხვა ჯიშის ყურძენი უნდა გვეყიდა, უწიპწო... მაშინ გავიგე ყურძნის

კურკას რო წიპწა ქვია... რა სახელია წიპწა... რამდენი ხმელი ყურძენი ვჭამეთ... ხო გემრიელი იყო... სასარგებლოც... ფრუქტოზა, სახაროზა, გლუკოზა. (ნანუცას შეხედა) რა ნაცნობი სახე გაქვს, (ხელი გაუწოდა) ნიკა..

ნანუცა - ნანუცა

ნიკუშა - აუ ჩემი... წეღან არ გაგიცანი... (კოკა და ნანუცა იცინიან) ვიხუმრე ტო... მართლა კი არ შემეშალა... რა გაცინებთ, მართლა ვიღადავე... რას იტყვი ხორბალზე?

კოკა - არაფერს.

ნიკუშა - ფული არ გინდა ხო? ამდენი რო გაცინეთ პრემია არ მეკუთვნის? მართლა აღარ დარჩა მოსაწევი? მომაწევინე რა... კოკა...

კოკა - ეე ბიჭო!

ნანუცა - წავალ მე...

კოკა - მოდი ხოლმე დაზვერვაზე, დედაჩემი მომიკითხე...

(ნანუცა წავიდა)

ზურა - კარგი გოგოა, წამოიყვანე ეგეც

კოკა - ეგ კი არა შენც არ მინდა რო წახვიდე

ნიკუშა - სად მიდის, სად მიდიხარ კუკური? (ყურადღებას არ აქცევენ)

კოკა - რა უნდა აკეთო იქ?

ნიკუშა - არ მეტყვით სად მიდის? მეც წამოვალ რა... ზურა მოვდივარ.

ზურა - პროფესია დავკარგე... არავის არ უნდა შენი კინო... და მე მაგარი აღმოჩენა გავაკეთე

ნიკუშა - რა აღმოჩენა კუკური?

ზურა - მივხვდი რო იდიოტი არა ვარ... რაღაც უნდა შევცვალო თორემ ვიძირები... აქ ვერ შევცვლი ვერაფერს, ამიტომ უნდა გავიქცე.

ნიკუშა - არაფრის შეცვლა არ მინდა, პროსტო წამოვალ რა... ამერიკაში მინდა... ჯაზმენების ძველ თაობას მინდა მოვუსმინო...

კოკა - ჩვენ არ მოგვწონს, ჩვენი ქვეყანა და არაბებს, თურქებს, ირანელებს ხო მოსწონთ, ხო ააწყვეს საქმე, ჩვენს ადგილს ეგენი დაიკავებენ... რო დავბრუნდებით თუ დავბრუნდით საერთოდ... აქ სხვა სიტუაცია დაგვხვდება.

ნიკუშა - აქედან წავიდე და აქ დავბრუნდები?...

ზურა - ჩვენ აქ მათხოვრებივით არ დავბრუნდებით, წელში გამართულები ვიქნებით... ბიზნესს გავმართავთ, კინოს გადავიღებთ და რა ვიცი... დროზე მოიფიქრე. ოთოც მოდის, მანქანას ყიდის, გზის ფული გვექნება. შენთვის ვამბობ თორემ მე ისედაც მივდივარ.

ნიკუშა - მეც მოვდივარ, წამოდი ბელმონდო, ავიღოთ ამერიკა!...

(ზარია კარზე, ნიკუშა გადის და შემოყავს ავთო. პაუზა)

ავთო - როგორა ხარ კოკა?

კოკა - რავი, ვარ რა

ავთო - რას შვება შენი კინო?

კოკა - რა უნდა ქნას არი რა...

ავთო - სცენარი დაამთავრე ხო?

კოკა - სცენარი კი მაგრამ...

ავთო - მაგრამ რა?

კოკა - გადაღებას ვერ ვიწყებ...

ავთო - რატო?

კოკა - ფულია საჭირო.

ავთო - ჰოო?!...

კოკა - ჰო...

ავთო - შენა და ბევრი უნდა?

კოკა - ბევრი

ნიკუშა - მერე რა უნა ქნა?

კოკა - რა ვიცი...

ავთო - კინოკავშირი არ გაძლევს ფულს?

კოკა - კინოკავშირს ფული არა აქ…

ავთო - აბა ვისა აქ?

კოკა - კინოცენტრს.

ავთო - და კინოცენტრი რატო არ გაძლევს?

კოკა - ეგეთ კინოში არ დებენ ფულს…

(პაუზა)

ნიკუშა - ბინა რო ჩადო?

კოკა - ვერ ჩავდებ, მაგ ფულით კინოს მაინც ვერ გადავიღებ...

ავთო - არავინ გაფინანსებს? ინვესტორი, სპონსორი ვერ იშოვე?

კოკა - ვერა.

(შემოდის ნანუცა)

ნანუცა - ნამცხვარი მოგიტანე, კარგია ყავაზე

ნიკუშა - აუ შენ რა ნაცნობი სახე გაქვს (ნანუცა ჩაბჟირდა) გეღადავე შეჩემა... რა გაცინებს

(ნანუცა გადის)

ავთო - პატარა გოგოები გევასება?

კოკა - ნიკამ, ავთოს საქმე აქვსო...

ავთო - საქმე... ჰო საქმე მაქვს.

კოკა - გისმენ.

ავთო - კოკა, გაძლევ მანქანას, მიდიხარ თურქეთში, იქ დაგხვდებიან... ისვენებ ორი სამი დღე და ბრუნდები უკან.

კოკა - მერე?

ავთო - მერე არაფერი, შენი სამუშაო შესრულებულია, იღებ ფულს... ეს ფული კინოს დასაწყებად გეყოფა, მერე კიდევ გაისეირნებ... მერე კიდევ... თან კინოს იღებ..

კოკა - სულ ეს არის?

ნიკუშა - სულ ეგ არი ტო...

კოკა - და ამაში მომცემს ვინმე ფულს?

ნიკუშა - ხო ტო...

კოკა - და იმ მანქანაში რა იქნება?

ავთო - ეგ შენ არ გეხება... შენ არაფერი არ იცი.

კოკა - რო გამჩხრიკონ? რა ვუთხრა? ეს მე არ მეხება თქო?

ავთო - არ გაგჩხრეკენ, ყველაფერი დალაგებულია

კოკა - რო ჩამიშვას ვინმემ?

ავთო - ვინ უნდა ჩაგიშვას? მე? ნიკუშამ?

ნიკუშა - ვინა ტო, მე ჩაგიშვებ?

კოკა - არ მინდა ეგეთი ფული.

ავთო - დაფიქრდი, ორ დღეს გაძლევ და პასუხი მერე მითხარი.

კოკა - არ მინდა ორი დღე, პასუხი ეგ არი - არა.

ავთო - არა?

კოკა - არა.

ავთო - რატო?

კოკა - სროკზე ვერ წავალ.

ავთო - სროკზე ვერ წახვალ ხო?! სროკი შენ არ გინდა, რისკი შენ არ გინდა, ტრაკის განძრევა არ გინდა, ფული ხო გინდა? მერე, ვინ მოგცემს ეგრე ფულს...

ნიკუშა - რა არი კოკა?... არ გინდა კინოს გადაღება? გადაგიღებო რო მითხარი?... წადი რა თურქეთში, მეც წამოგყვები.

(პაუზა, ელოდებიან რას იტყვის კოკა)

ავთო - არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ სხვა გზას არ მიტოვებ... ჩემი ვალის გასტუმრებას არ აპირებ? კი არ მიჩუქებია ეგ ფული, გასესხე... მამაშენს რო ოპერაცია დასჭირდა, მაგიტო გასესხე, ვერ ვუშველეთ მაგრამ...ორი წელი გავიდა, პროცენტი მითხოვია? თავნიც აღარ გინდა დამიბრუნო?

(პაუზა)

კოკა - დაგიბრუნებ მაგ ფულს.

ავთო - როდის?

კოკა - რაღაცას ველოდები ტელევიზიიდან, ნაწილს დაგიბრუნებ

ავთო - მე ნაწილ ნაწილ გასესხე? (პაუზა) წადი და გაგინულებ ვალს...

ნიკუშა - ავთო, მე რო წავიდე?

ავთო - შენ სად უნდა წახვიდე ბიჭო, საკუთარ სახლს ვერ აგნებ.

ნიკუშა - რამდენია ვალი ტო? ბელმონდო რამდენი გაქ ვალი?

კოკა - თხუთმეტი ათასი...

ნიკუშა - თხუთმეტი ათასი ლარი? მე წავალ!...

კოკა - დოლარი...

ნიკუშა - დოლარი? მივდივარ... მე წავალ... ავთო... წავალ რა...

ავთო - კოკა, ზეგ წახვალ, ახლა არ მიპასუხო (გადის, ნიკა მისდევს)

ნიკუშა - მე წავალ რა... წავალ რა ავთო...

კოკა - რას იტყვი...

ზურა - გამოართვი მანქანა და წავიდეთ, გზის ფულიც დაგვეზოგება და იმ წამალსაც კარგად გამოვიყენებთ... კოკა... მაგათ უნდა გაექცე... ეგენი დაგღუპავენ...

კოკა - რატო? უარი ვუთხარი

ზურა - არ შეგეშვებიან, თან კინოს გადაღება გინდა...

კოკა - მინდა, მერე რა?

ზურა - ეგეთი ფულით შენ რო კინო გინდა იმას ვერ გადაიღებ, ბოლოს კამერაში ამოყოფ თავს დიდი ხნით. გეუბნები გამოართვი მანქანა და წავიდეთ. (შემოდის ნანუცა) ნანუცა კი კარგი გოგოა… შენს ზარს ველოდები.(გადის)

ნანუცა - ხელს ხომ არ გიშლი?

კოკა - შენ ხელს ვერ შემიშლი.

ნანუცა - ხომ გითხარი დავალაგებ მეთქი, დავალაგო?

კოკა - არა.

ნანუცა - (სცენარი დაინახა) წამაკითხებ?

კოკა - ჯერ არა, დავამთავრებ და...

ნანუცა - რაზეა?

კოკა - ერთ ახალგაზრდა კაცზეა... წესიერი ბიჭია… ცხოვრება შეიცვალა და ამას მაგრა არ ევასება რაც ქვეყანაში ხდება…ეს უსამართლობა და რამე… ხოდა იბრძვის, იდიოტია რა… გონია რო შეცვლის ადამიანებს… იბრძვის… კედელს ებრძვის, კედლის განგრევა უნდა... პიტალო იდიოტია… ბოლოს... ბოლო არ ვიცი, შეიძლება ციხეში მოხვდეს...

ნანუცა - შენზეა?

კოკა - ჩემზე? მე შეიძლება ციხეში მოვხვდე?

ნანუცა - ციხეში?!... არა... რატო?...

კოკა - აბა იდიოტი ვარ?

ნანუცა - იდიოტი? არა…შეყვარებული ყავს?

კოკა - ვის?

ნანუცა - იმას... იმ ბიჭს, კინოში...

კოკა - არა.

(პაუზა)

კოკა - ნანუცა

ნანუცა - ბატონო?!...

კოკა - გიყვარვარ?

ნანუცა - (საცაა ატირდება)

კოკა - გიყვარვარ?

ნანუცა (ტირის) არა...

კოკა - რა გატირებს, ძალიან კარგი თუ არ გიყვარვარ, მე რა შესაყვარებელი ვარ...

ნანუცა - (ტირილს მოუმატა)

კოკა - წადი სახლში, არ უნდა ამას დალაგება. მაგვიანდება ტელევიზიაში, რომ მოვალ დავალაგებ.

ნანუცა - შეენ?..

კოკა - რა მე? ხო მე დავალაგებ.

ნანუცა - დაალაგებ არა.

კოკა - აბა რა?

ნანუცა - მე რო მკითხე... შენ?

კოკა - მე რო გითხრა, გავიქცეთ აქედან თქო, წამომყვები?

ნანუცა - მითხარი...

კოკა - გეხუმრე... (გადის)

ნანუცა - მეხუმრა... მერე გამეცინა?.. იდიოტი.

(გადასვლა ტელევიზიის რედაქციაზე. მონიტორზე მოჩანს სხვადასხვა სიუჟეტები, საბავშვო, სპორტული, საქმიანი, სხვადასხვა გასართობი და პოლიტიკური შოუ. ეს კერძო ტელევიზიაა „დემოკრატიის კუნძული“ - სახელად „ეტალონი“. ტელევიზიის თანამშრომლები საქმიანი სახეებით მიდი მოდიან. შემოდის კოკა ესალმება თანამშრომლებს ჯდება თავის მაგიდასთან და კომპიუტერში რაღაც მასალაზე მუშაობს. მონიტორზე მორიგეობით იცვლებიან პოლიტიკოსები ალბათ ამქვეყნიურ სამოთხეს პირდებიან ამომრჩეველს, მათი ხმა არ გვესმის - კიდევ კარგი. შემოდის ლოლა. ახალგაზრდა აღარ ეთქმის, მაგრამ ჯერ კიდევ ეფექტურად გამოიყურება, მოხუცი დევნილი ნუცა ცდილობს არ შემოუშვას.)

ნუცა - არაო არ შემოუშვათო...

ლოლა - ნუცა დეიდა გამატარე...

ნუცა - არ შეიძლებაო...

(ლოლას არ გასჭირვებია ნუცას წინააღმდეგობის დაძლევა, მიდის თავის მაგიდასთან, რომელიც უკვე დაუკავებია მასზე საგრძნობლად ახალგაზრდა ნინის. ლოლა ყრის ნინის ნივთებს იატაკზე და იკავებს მაგიდას, ნინი კრეფს თავის ნივთებს, ტირის)

ნინი - ლოლა დეიდა, ჩემთან რა გინდა... მე რა დაგიშავე?

ლოლა - (კბილებში გამოსცრა)ვინ არის შენი დეიდა, შენ დდშვც...

ნუცა - სიხარულო, რას მიაღწევ ამით... ასე მაინც არ დაგაბრუნებენ სამსახურში და შეიძლება მეც გამაგდონ, რატომ შემოუშვიო... (ლოლა ხმას არ იღებს) სიხარულო წადი ახლა სახლში და თუ რამე შეიცვლება პირველი მე დაგირეკავ... ვთხოვ ირაკლის, ჩემი დიდი ხათრი აქვს და დაგაბრუნებს. რა თქვი? (ლოლა ხმას არ იღებს, ნუცა ნინისთან გადადის და ახლა იმას აწყნარებს) კარგი ახლა, ნუ ტირი, მოვა ირაკლი და გაირკვევა ყველაფერი, ცოტა ხანს მოერიდე, (სკამი დაუდგა) აი აქ ჩამოჯექი (ბრუნდება ლოლასთან) ვინ ყავთ შენზე უკეთესი, შენ რომ გაგიშვეს. რა თქვი სიხარულო? კარგი ახლა დაწყნარდი.

(შემოდის ირაკლი, ტელევიზია „ეტალონის“ გენერალური დირექტორი)

ირაკლი - დილა მშვიდობისა ნატო დეიდა.

ნუცა - ნუცა.

ირაკლი - რა ნუცა?

ნუცა - ნუცა მქვია...

ირაკლი - ხო ნუცა, აბა მე რა ვთქვი?

ნუცა - ნატოო

ირაკლი - ნატო რამ მათქმევინა, ნუცა რა თქმა უნდა, დილა მშვიდობისა ნუცა დეიდა. (ლოლა დაინახა) რა არის ეს... ხო გითხარი არ შემოუშვა მეთქი.

ნუცა - მაგის მომრევი ვარ მე? ირაკლი შვილო, თუ ჩემი ხათრი გაქ ლოლა დააბრუნე, გთხოვ.(ნუცა მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა)

ირაკლი - (თავშეკავებით) ნატო დეიდა... შენს საქმეს მიხედე...

ნუცა - კი ირაკლი, კი სიხარულო, ისე ნუცა მქვია მე (გადის)

ირაკლი - (მიდის ნინისთან აწყნარებს, შემდეგ გადადის ლოლასთან) დილა მშვიდობისა ქალბატონო ლოლა

ლოლა - (კბილებში გამოსცრა) წდ...შნ...დდშვც...

ირაკლი - ლოლა, უხერხულია, არ გეკადრება ასეთი საქციელი, მიეცი ადამიანს მუშაობის საშუალება... ხო დაგპირდი როგორც კი გამოჩნდება შტატი მაშინვე დაგიკავშირდები... ხო გესმის ოპტიმიზაცია ტარდება, რეიტინგი უნდა ავწიოთ, ახალი სახეები გვჭირდება ცოტა ხანს დაისვენე და მალე გავაგრძელებთ თანამშრომლობას.

ლოლა - წდ... შნი... (მთელი ამ სკანდალური სცენის დროს ტელევიზიის თანამშრომლები ვერაფერს ვერ ხედავენ, არაფერი არ ესმით, ყველა თავის საქმით არის დაკავებული, ირაკლიმ კოკა დაინახა) კოკა, მოიტანე მასალა?

კოკა - დიახ.

ირაკლი - მოვალ ახლავე.

ნინი - მე სად დავჯდე?

ირაკლი - დაწყნარდი, მოიწმინდე ცრემლები, შენი სიუჟეტი დღევანდელი საინფორმაციოს მთავარი ბომბი უნდა იყოს.

(ირაკლიმ მონიტორზე შენიშნა პირბადეებით აღჭურვილი ადამიანები საკაცეს მიაგორებენ)

ირაკლი - რა სიუჟეტია ეს, რა ხდება?

ნინი - ჩინეთში რაღაც ახალი გრიპი ყოფილა... არაფერი ისეთი.

ირაკლი - რას ვამბობდი?... ჰო სიუჟეტი მზად გაქვს ხომ?

ნინი - მზად მაქვს... მაგრამ...

ირაკლი - რა მაგრამ...

ნინი - რამდენიმე ფაქტია გადასამოწმებელი

ირაკლი - მერე რა, გავუშვათ გადაუმოწმებლად. სკანდალური უნდა იყოს.

ნინი - სკანდალური იქნება.

ირაკლი - ძალიან კარგი, მთავარი სლოგანი?

ნინი - რისი იმედი აქვს სინაურიძეს?

ირაკლი - არ ვარგა...

ნინი - დაიჭერენ სინაურიძეს?

ირაკლი - ისე რა...

ნინი - მკვლელია სინაურიძე?

ირაკლი - არა უშავს...

ნინი - რატომ უნდა მოეკლა სინაურიძეს მეგობარი?

ირაკლი - კარგია... ეს იქნება სიუჟეტის მთავარი სლოგანი. დაიწყებ აქტიურად, აგრესიულად, უნდა მეგონოს რო ძალიან ახლობელი მოგიკლეს... თვალებიდან ნაპერწკლებს უნდა ყრიდე.

ნინი - გავიგე - მასალა უნდა დავამონტაჟო, მუსიკა დავადო... სად დავჯდე?

(მიდიან ლოლასთან)

ირაკლი - კარგი ახლა, ჩაიწიეთ ცოტა, დასვით ადამიანი, ჩაიწიე რა შეჩ... (შეავიწროეს ლოლა ნანამ თავისი ნივთები და ქაღალდები დაალაგა, ლეპტოპი გახსნა. ირაკლი კოკასკენ წავიდა. ლოლამ ნინის ნივთები ხელის ერთი მოსმით გადაყარა და უფრო გამაგრდა მაგიდასთან, ნინიმ აკრიფა ნივთები და ისევ დაალაგა მაგიდაზე, ლოლა თმებში ეცა ნინის, ნინიც არ ჩამორჩა და გაიმართა ხელჩართული ჩხუბი, გააშველეს და ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა.)

ლოლა - ამოიღეთ ხმა... თქვენც ასე გაგყრიან ხვალ... მონებო, მონებო არ წავალ არა... არსადაც არ წავალ...ოცდახუთი წელია ცხოველივით ვმუშაობ, არა სახლი... არა პირადი ცხოვრება... არც ერთი ცხელი წერტილი არ დამიტოვებია, ყველაზე რთულ სიტუაციაში მე მიშვებდნენ... მითქვამს უარი? არ მივდიოდი? რატომ გამაგდეთ ქუჩაში ძაღლივით, რატომ?

ირაკლი - დაწყნარდით ქალბატონო ლოლა...

ლოლა - შე ტრაკო! შენ დდშვცი... რა გინდოდა... რას მავალებდი და რა ვერ გავაკეთე... შენი საყვარელი გინდოდა გავმხდარიყავი მაგ პუტანკასავით? გეთქვა მერე, იქნებ არ გეუბნებოდი უარს...

ირაკლი - როგორ გეკადრებათ ქალბატონო ლოლა...

ლოლა - წადი შნი დდშვც... (ნინის) არ გაბედო ამ მაგიდასთან მოახლოება... (ჯდება მაგიდასთან, ნინის სხვამ დაუთმო ადგილი მაგიდასთან, შედარებით დაწყნარდა სიტუაცია. ირაკლი კოკასთან დაბრუნდა)

ირაკლი - მოიტანე მასალა?

კოკა - მოვიტანე

ირაკლი - ძალიან კარგი ბიჭი ხარ... შევინახოთ.

კოკა - აბა საჩქაროაო?

ირაკლი - აღარ არი საჩქარო... ეს გვქონდეს რეზერვში, მოვა მაგის დრო და გამოვიყენებთ. სკანდალურია?

კოკა - სკანდალურია...

(მონიტორზე კოსმონავტებივით აღჭურვილი მედიკოსები დადიან, საკაცით მოაგორებენ ვიღაცას, სასწრაფო მანქანები მიდი მოდიან)

კოკა - სად ხდება ეს?

ირაკლი - ისეთი არაფერი, ჩინეთში რაღაც გრიპი გაჩენილა... ახლა ახალ დავალებას მოგცემ

კოკა - ჰონორარი? ფული მჭირდება.

ირაკლი - ფული გჭირდება ხო? (ახალგაზრდა გოგომ გამოიარა, რაღაც ქაღალდებს ათვალიერებს, შეჩერდა) გინდა რამე?

გოგო - არა არაფერი...

ირაკლი - აბა გვისმენ? (გოგო შეცბუნებული წავიდა) რა თქვი? ფული გჭირდება ხო? გექნება, გექნება ფული. (ვიღაც უცნობი მამაკაცი შემოდის, დგება ისე, რომ ირაკლის ყურადღება მიიქციოს) ჩემთან ხართ?

უცნობი - დიახ.

ირაკლი - დამელოდეთ... კოკა ახალი დავალება მაქვს შენთვის. ხო გინდა ფული? იქნება ფული... მიხვალ ნატროშვილთან და აიღებ ინტერვიუს, შეკითხვები აქ არის (აწოდებს ქაღალდს) აი ამ კამერას გაიკეთებ (აძლევს მიკრო კამერას) გულახდილ საუბარზე უნდა გამოიწვიო... იმდენი რამე გვაქვს მაგისთვის გაკეთებული, რომ გვენდობა... არაფერს არ იფიქრებს... ოპერატორი გარეთ გაუშვი, ვითომ კამერის გარეშე ელაპარაკები და ყველაფერი ჩაიწერე, შეხვალ თუ არა ჩაწერა მაშინვე დაიწყე, შავი მასალა დაგვჭირდება დასამონტაჟებლად. მერე მაგრად მოვწველოთ ეგ გოიმი... არჩევნებზე დახმარებას დაპირდი.

კოკა - ამას არ გავიკეთებ...

ირაკლი - გაიკეთებ...

8კოკა - არ გავიკეთებ...

ირაკლი - არ გაიკეთებ და დატოვებ ტელევიზიას... დღესვე. (კოკა წამოდგა) დაჯექი!.. (მიდის უცნობთან) გისმენთ.

უცნობი - ერთი ერთზე მინდოდა...

ირაკლი - ეს ჩემი სტუდენტია. ამასთან დასამალი არაფერი მაქვს.

უცნობი - შიოშვილისგან ვარ, აი ეს სიუჟეტი უნდა გაუშვათ (აწოდებს „ფლეშკას)

ირაკლი - რაზეა სიუჟეტი? (უცნობი ქაღალდს აწოდებს, ირაკლი კითხულობს) არა ამას ვერ გავუშვებთ, წინა კვირას ამის საწინააღმდეგო სიუჟეტი გვქონდა და ახლა ეს არ წავა.

უცნობი - ვიცით რომ ჩვენი საქინააღმდეგო სიუჟეტი გქონდათ... მაგიტომ ვარ აქ... რატო არ წავა, წავა, აი ეს თქვენ (აწოდებს კონვერტს, ირაკლი ხსნის კონვერტს, იღებს ფულს, თვლის... უცებ რაღაცას მიხვდა, ეცა უცნობს და პერანგი გადაუხსნა, კამერა ააგლიჯა)

ირაკლი - შენ დედას შვც... რა არის ეს? ეს რა არის შე ნაბოზარო? (ცემს უცნობს. ტელევიზიის თანამშრომლები ვერაფერს ვერ ხედავენ, არაფერი ესმით) ეს რა არის შე ნაბოზარო? აჭერინებ ჩემ თავს შე არაკაცო? (ცემს... უცნობმა გაქცევა მოახერხა, ირაკლი სათითაოდ წმენდს ფულს და აწყობს კონვერტში, ხელებს იბანს, წმენდს კონვერტს) ხედავ რას მიშვრებოდა ეს ბოზიშვილი... ხედავ რაზე მიდიან ეს ნაძირლები?...

(ამ დროს ლოლამ რაღაც ტაბლეტები ჩაიყარა პირში და გრაფინით წყალი დააყოლა, პანიკა... ვიღაცა ცდილობს ტაბლეტები გადმოაყრევინოს პირიდან... ვიღაც სასწრაფოს ურეკავს.)

ირაკლი - არ გინდათ სასწრაფო, ლოლა დააღე პირი... დააღე პირი (ცდილობს პირი გააღებინოს) მიკბინა ამ ჩემისამ, რა დალიე შე იდიოტკა, (იპოვნა წამლის კოლოფი) ეს რა დაგილევია, ერთი კვირა ვერ გამოხვალ ტუალეტიდან... (რეკავს ირაკლის მობილური) აუ ამას რაღა უნდა - ბორჯომი ან ნაბეღლავი ასვით, კუჭი ამოურეცხეთ, სასწრაფო არ გინდათ. (მობილურზე ზარი არ წყდება, ირაკლი ამზადებს ჩამწერს და მერე იწყებს საუბარს) გისმენთ, დიახ, დიახ... რა თქმა უნდა... კი ბატონო, ჰო მაგრამ გუშინ რო პირიქით?... გავიგე... გავიგე... ხო ვთქვი გავიგე მეთქი... კი ბატონო... გავიგე ნიშნავს გავიგეს... (საუბარი დამთავრდა) ამას მერე გადავიწერ ფლეშკაზე. ეს ნახევარწუთიანი ჩანაწერი ძვირი ეღირება... ეგ როგორ არის? (ლოლა მოიკითხა, ანიშნებენ არა უშავსო, ნინი მიდის ირაკლისთან რაღაცის გასარკვევად. ირაკლი ეცა და პერანგი გადაუხსნა, ნინიმ შეჰკივლა და მკერდზე ხელი აიფარა) ფუ შენი, ყველგან კამერა მელანდება, იზმენებში ვარ, რა გინდა რა... არ მცალია ახლა შენთვის, საღამოს გნახავ... კოკა ესე იგი ნატროშვილთან აღარ მიდიხარ, მიხვალ ამასთან (ქაღალდზე წერს გვარს, მერე ხევს) შეკითხვები იგივეა.

კოკა - კამერას არ გავიკეთებ.

ირაკლი - კოკა, დამიგდე ყური. ამ სიუჟეტში კარგ ფულს მიიღებ. კინოს დასაწყებად გეყოფა, ამათ უნდათ იმათი დისკრედიტაცია... იმათ ამათი... ვისარგებლოთ ამით... კოკა ძალიან მინდა, შენ მაინც გადაიღო ის კინო, რომლის გადაღება მე ვერ შევძელი... დღემდე ვერ ვეგუები ამას...

კოკა - მერე ასე გაკეთებული ფულით ზნეობრივ კინოს გადავიღებ?

ირაკლი - ჩემო ზნეობრივო ბიჭო, ფულს სუნი არა აქვს, ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ძველ რომში იცოდნენ... იმდენი უზნეობა გვაქვს ჩადენილი ეს ვიდეო ვერაფერს შეცვლის.

კოკა - ერთხელაც გამაგორებს ვიღაც და ამით დამთავრდება ჩემი კინო.

ირაკლი - ამ ერთხელ და მეტს შენ არ მოგთხოვ... ახლა სხვა არავინ მყავს ისეთი... შენ გენდობი, ცოდვებს მერე მოვინანიებთ, სიბერეში.

კოკა - თუ მივაღწიე სიბერემდე...

ირაკლი - ამ ფულით კინოს ვერ გადაიღებ, მაგრამ დაწყება შეიძლება, მერე ვნახოთ, კიდევ გამოჩნდება საქმე. ასეთი სკანდალებით ჩვენი რეიტინგი აიწევს, ხელფასს მოგიმატებ... კოკა, ხო ხედავ მე თითონ რა დღეში ვარ... კამერიანი კაცი მომიგზავნეს... კომპრომატი უნდათ ჩემზე, რო მერე თოჯინასავით მათამაშონ, ვითომ ახლა არ მათამაშებენ როგორც უნდათ. (პაუზა) ბიჭო, გაიგე შენ არ გააკეთებ ამას, სხვა გააკეთებს... ამ ფულს სხვა ჩაიდებს ჯიბეში... იდიოტი ხო არა ხარ? ცხოვრება ხო გინდა?

კოკა - მაგრა მიტყდება, კაცი გენდობა და შენ ჩუმად იღებ...

ირაკლი - კაცი?.. გენდობა?.. ვინ გენდობა?.. კი არ გენდობა, სჭირდები... არჩევნები მოდის და ერთმანეთს ძირავენ. აიწყვე ცხოვრება, იშოვე ფული და გადაიღე შენი კინო... ამათ ჩხუბში უნდა გადავრჩეთ. დაუჭამიათ ერთმანეთი... იმათაც გავუსწოროთ და ამათაც... ან ვინც მეტს გადაიხდის (შემოდის ნუცა, იატაკს წმენდს) რაო ნატო დეიდა, როგორ არის ლოლა?

ნუცა - (აღარ უსწორებს სახელს, აზრი არა აქვს) არა უშავს...

ირაკლი - წავიდა?

ნუცა - არა, ტუალეტშია...

ირაკლი - კოკა კარგად დამიგდე ყური, ვყოფილვარ როდესმე ასეთი გულახდილი? გენდობი და იმიტომ გეუბნები... მომენტია და ისარგებლე

კოკა - რა ვქნა ვერ ვერევი თავს...

ირაკლი - გიმეორებ მომენტია და ისარგებლე, არ გვაძლევენ თავისუფლად მუშაობის საშუალებას... მაშინ იყიდონ ჩვენი თავისუფლება, თავისუფლება ძვირი ღირს...

კოკა - როდის უნდა მივიდე იმასთან?

ირაკლი - დამირეკავენ და დაგირეკავ.

ნუცა - (ნუცამ მიირბინა ირაკლისთან) მოვიდა! (ირაკლიმ რაღაც უთხრა ნუცას, ნუცა სადღაც რეკავს)

ირაკლი - კოკა მოვიდა ის ახვარი, კამერა ჩართული გქონდეს, თან გამოვცდით მაგ კამერას. (კოკა ემზადება, შემოდის კაცი რომელიც ფარულად უღებდა ირაკლის და მისი გამომგზავნი ნუგზარი)

ნუგზარი - გამარჯობა ბატონო ირაკლი, ეს ბიჭი გაუშვი რა...

ირაკლი - ეს ბიჭი ჩემი სტუდენტია, თვალდახუჭული ვენდობი.

ნუგზარი - ირაკლი რაღაცა სერიოზული გაუგებრობა მოხდა... სულ ტყვილა გამილახე ეს საწყალი (იცინის) ეს დურაკი მეუბნება, კამერა ჩართული არ მქონდაო, შემრჩაო რა... სხვაგან ვიყავიო გადაღებაზე და დამავიწყდა მოხსნაო... ამ გაუგებრობის გამო ნუ გაიფუჭებ ჩემთან ურთიერთობას, არ გაწყობს ეგ შენ... (მონიტორზე კვლავ

სასწრაფოები მიდი მოდიან, საკაცეებით ავადმყოფები დაყავთ) რა ხდება? რა კადრებია, ჩვენთან, მოხდა რამე?

ირაკლი - არა, ჩვენთან არა, ჩინეთში ახალი გრიპიაო, ისეთი არაფერი.

ნუგზარი - ხოო... ის ფული შენთან დარჩა?

ირაკლი - ჰო.

ნუგზარი - ჰოდა ძალიან კარგი, შენია ეგ ფული და მშვიდობაში მოიხმარე. ახლა ერთი თხოვნა მაქ შენთან, ორი დადებითი სიუჟეტი ჩვენზე და ერთი უარყოფითი იმათზე. შევთანხმდით?

ირაკლი - რად გინდოდა ჩემთან კამერიანი კაცის მოგზავნა, მე რამე შემშლია შენთან?

ნუგზარი - არა მეთქი, სინდისს გეფიცები (კამერიან კაცს) ხედავ შე დურაკო, რა მდგომარეობაში ჩამაგდე... მე გითხარი ირაკლის ლაპარაკი ჩაწერე მეთქი? გითხარი?... გითხარი?

კამერიანი კაცი - არა.

ნუგზარი - გადი გარეთ დამელოდე. ცოლის ბიძაშვილია, შევიფარე და ასე მჭრის თავს, თან მეცოდება, დევნილია ეს ჩემისა... (მონიტორზე ვიღაც აქტიურად ქადაგებს) ამას რატო ალაპარაკებ? რატო უთმობ ტელევიზიას?

ირაკლი - მე რას ვალაპარაკებ... ხო არ ავუკრძალავ ლაპარაკს

ნუგზარი - რატო მოგყავს.

ირაკლი - აქ სრული თავისუფლებაა, ცენზორი არ გვყავს

ნუგზარი - ცენზორი არ გყავთ ხო?

(შემოდის ამ ტელევიზიის პატრონი თენგიზი)

თენგიზი - ვაა!... ამას ვის ვხედავ, ჩემი ძმა, კაცური კაცი... ხო არ იცი როგორ გამიხარდა შენი დანახვა, რას ვიფიქრებდი რო აქ შეგხვდებოდი. რაზე შეწუხებულხარ?

ნუგზარი - სარეკლამო როლიკი მოვუტანე ირაკლის.

თენგიზი - რისი რეკლამაა?

ნუგზარი - ჩემი პროდუქციის...

თენგიზი - შენს პროდუქციას რად უნდა რეკლამა, უმაღლესი დონეა.

ნუგზარი - უმაღლეს დონეს უნდა რეკლამა, თორემ ნაგავს ისედაც ყიდულობენ იაფად.

თენგიზი - პირადად დადიხარ სარეკლამო როლიკებით ტელევიზიებში?

ნუგზარი - კიდევ რაღაცეები მაქვს გასარკვევი.

თენგიზი - გასარკვევი რა გაქვს ძმაო...

ნუგზარი - ჩემს კომბინატზე მაკომპრომიტებული მასალა რო გაუშვა შენმა ტელევიზიამ.

თენგიზი - ჩემმა ტელევიზიამ?

ნუგზარი - ჰო, შენმა ტელევიზიამ.

თენგიზი - ეს ჩემი ტელევიზიაა?

ნუგზარი - აბა ვისია, ჩემი?

თენგიზი - ირაკლი, ეს ჩემი ტელევიზიაა?

ირაკლი - არა.

თენგიზი - ამ ბიჭს რა ქვია? ბიჭო ეს ჩემი ტელევიზიაა?

ირაკლი - არ ვიცი

თენგიზი - რა არ იცი შეჩემა...

ირაკლი - მე შეჩემა არ ვარ.

თენგიზი - ხო კარგი ჩემია, რა სიუჟეტი გავუშვით ირაკლი?

ირაკლი - უხარისხო საშენ მასალებზე...სახლი ჩამოინგრა... ორი ადამიანი დაშავდა.

ნუგზარი - ეგ სახლი მასალის გამო კი არ ჩამოინგრა…

ირაკლი - ექსპერტმა თქვა უხარისხო მასალის ბრალიაო.

თენგიზი - ხოო... შენ ძმაო მეწარმე ხარ თუ პოლიტიკოსი? აბა როგორ გინდა, ინტერესთა კონფლიქტი არ არი ეს?

ნუგზარი -ეგ კომბინატი ჩემი არ არის, ჩემი ცოლის ძმისაა... მე საერთოდ არ ვერევი კომბინატის საქმეებში... შენ რა გაწუხებს?

თენგიზი - მაწუხებს? მკიდია... სხვებს აწუხებს

ნუგზარი - ვინ სხვებს?

თენგიზი - იცი შენ...

ნუგზარი - რამდენი გადაგიხადეს?

თენგიზი - მე ვინ რა უნდა გადამიხადოს, იქით გადავუხდი

ნუგზარი - შენ რისი გადამხდელი ხარ ბიჭო...

თენგიზი - ბიჭო!... შენ გგონია არ ვიცი რაზე ხარ მოსული?

ნუგზარი - იცოდი რო მოვიდოდი? მითვალთვალებ?

თენგიზი - ხო, გითვალთვალებ, ერთი არ მინდა რამე შეგეშალოს... რქებს დაგამტვრევ შე ახვარო...

ნუგზარი - არავის არ გადაუღუნო (იწევენ ერთმანეთზე)

თენგიზი -კამერიანი კაცი მოგვიგზავნე შე ტრაკო!?...

(ამ დროს ისმის აფეთქების ხმა... მონიტორზე ჩანს რომ ნინი სკამიდან გადავარდა, შემდეგ შეშინებული გარბის სტუდიიდან და შემოდის ირაკლისთან, ირაკლი აბრუნებს ნინის სტუდიაში და მონიტორზე ვხედავთ როგორ შედის ნინი სტუდიაში და აღშფოთებული ლაპარაკობს. დრო და დრო ბათქაში ცვივა როგორც სტუდიაში ასევე აქეთ ტელევიზიის რედაქციაში, ისმის სახანძროს და სასწრაფოების სირენების ხმა.)

ნუგზარი - ვინ აგვაფეთქა თენგო?

თენგიზი - მგონი ვხვდები ვინც...

ნუგზარი - თენგო მომისმინე, ვიღაცას ძალიან უნდა ჩვენი გაფუჭება.

თენგიზი - შენ არ გინდა ჩემი გაფუჭება?

ნუგზარი - რაში მჭირდება? ჩვენი ჩხუბი ახლა არ ივარგებს... ერთად უნდა ვიყოთ, მენდობი?

თენგიზი - არა

ნუგზარი - არც მე გენდობი... მაგრამ დავილაპარაკოთ... წამოდი. (ნუგზარი და თენგიზი გადიან. . შემოდის გაფითრებული ლოლა. უკან ნუცა მოსდევს)

ირაკლი - როგორ ხარ ლოლა, შეგეშინდა?

ლოლა - მომეცით ოთხი თვის კომპენსაცია და წავალ.

ირაკლი - კარგი, ხვალ მოდი.

ლოლა - ექვსი, ექვსი თვის!...

ირაკლი - კარგი, მოდი ხვალ.

ლოლა - რვა უნდა მეთქვა

ნუცა - გეთქვა მერე... მე ვეტყვი (გადიან)

ირაკლი - ვიცი ვინც აგვაფეთქა

კოკა - ვინ?

ირაკლი - ჯერ ვერ გეტყვი. ეს გამაფრთხილებელი აფეთქება იყო, შეგვაშინეს... მალე დარეკავენ. (რეკავს ირაკლის მობილური) აჰა... რა გითხარი... (ამზადებს ჩაწერას) დიახ გისმენთ... არა არ დამირეკია ჯერ... რად უნდა დარეკვა მოვიდნენ უკვე... მივხვდი... ამას ველოდი... კი აქ იყვენენ... კინაღამ ჩაიჯვეს, ხო გითხარით გავიგე მეთქი... მერე მე რა ვქნა, ჩემი კი არ არი ტელევიზია... როგორ? ვერ გავიგე...ცუდად მესმის… თუ შეიძლება გარკვევით მითხარით… ასე… დიახ ახლა გავიგე, მაგრამ მაგას ვერ გავაკეთებ, მე ვერ გავაკეთებ... რას მიზამთ?...გავიგე… კი ბატონო, დიახ, ნახვამდის... ესეც ასე...

(ირაკლი ჩანაწერს ამოწმებს და გადააქვს ფლეშკაზე) შენი ჩანაწერიც გადმომიგდე... ხედავ რა ხდება... კოკა დამიჯერე და აქ იმდენს იშოვნი ორ კინოს გადაიღებ. ხოდა მოდი აზრზე, იდიოტი ხო არა ხარ?...

კოკა - ეტყობა მართლა იდიოტი ვარ... უნდა გავიქცე აქედან...

ირაკლი - კი ბატონო გაიქეცი, უფულოდ ხო ვერ გაიქცევი, რაც მოსასწრებია მოვასწროთ, სანამ გვიან არ არის, მერე შეიძლება მეც წამოგყვე...

(შემორბის ნანუცა)

ნანუცა - გამოაცხადეს ტელევიზია ააფეთქესო და... გადარჩი? კარგი... წავალ ახლა... უხერხულად გამომივიდა ხომ? ბოდიში... წავედი...

კოკა - მოიცა, წაგიყვან, დამელოდე...

ნანუცა - არ მინდა გაცილება...

კოკა - (რეკავს კოკას მობილური) დამელოდე... (ეკრანზე კოკას დედაა) ხო დე, გისმენ, რაა? რა აფეთქება? საიდან გაიგე? რა მაგრა დაპატარავდა დედამიწა... არაფერი სერიოზული... კარგად ვარ, კარგად... ნუ გეშინია არაფერი მომივა... ნუ გეშინია... (ირაკლის) მგონი მართალი ხარ, რა კინო, რომელი კინო, იდიოტი ხო არა ვარ?! აი კინო...

(ქუჩაში არიან კოკა და ნანუცა. მონიტორზე სახანძრო, პოლიციის და სასწრაფო მანქანები დაქრიან, სირენების ხმა არ წყდება. სამი ნიღბიანი უახლოვდება კოკას და ნანუცას და იწყება ჩხუბი... რაღა ჩხუბი, უმოწყალოდ ცემენ კოკას. ცემენ არაქართულად, არა ჯიგრით და გაბრაზებით, ცემენ საქმიანად გულმოდგინედ, საქმის ცოდნით. უხმოდ, ნანუცა ჩხუბის დროს ხან ერთს ურტყამს ხან მეორეს, ხან მესამეს, ნიღბიანები ყურადღებას არ აქცევენ ნანუცას. ძირს დაგდებული კოკა მიატოვეს და წავიდნენ, კი არ გაიქცნენ, წავიდნენ. სირენების ხმა არ წყდება)

ნანუცა- მხეცები, პირუტყვები... ძალიან გატკინეს? იმათაც კარგად მოხვდათ (რეკავს კოკას მობილური)

კოკა - ჰო ზურა გისმენ. ქუჩაში ვარ, ახლა გამოვედი ტელევიზიიდან. შენც აქა ხარ? სად ხარ? ვერ გხედავ... შენ მხედავ? (ზურა თავზე დაადგა კოკას) ახლა მეც გხედავ.

ზურა - რა მოგივიდა, ვინ გცემა ასე?

კოკა - რას გაიგებ... ან იმათ ან ამათ, შეიძლება სხვებმა, თან ეტყობა დაჭერის არ ეშინიათ... არ მომასვენებენ სანამ... შენ როდის აპირებ ამერიკაში.

ზურა - ორ სამ დღეში, წამოხვალ? წამოდი, რა გინდა აქ... დღეს გცემეს, ხვალ რას გიზამენ ვინ იცის... ორ სამ წელიწადში ღირსეულად დავბრუნდებით.

(ნანუცა ტირის)

კოკა - რა გატირებს? არ გინდა რო წავიდე? და რო წავიდე წამომყვები? წავიდეთ?

ნანუცა - ხუმრობ ხო?

კოკა - ვხუმრობ...

ნანუცა - და რო არ მეცინება?!

(ააყენეს კოკა, ძლივს დგას ფეხზე)

კოკა - რა მირტყეს...

ზურა - ესე იგი მოდიხარ?

კოკა - წამოდი ჩემთან...

(სირენების ხმა, ეკრანზე სასწრაფოები, სახანძროები და პოლიციის მანქანები დაქრიან)

(კოკას ბინა. ნანუცას და ზურას შემოყავთ კოკა. ნანუცა გარბის გარეთ, ზურა სავარძელში სვამს კოკას. სიგარეტს ამოიღებს, მოუკიდებს და გადის აივანზე შემორბის ნანუცა საოჯახო

აფთიაქით ხელში. იღებს ბამბას, სპირტს, იოდს და უმუშავებს ნატკენ ადგილებს, მოულოდნელად ატირდა)

ნანუცა - ჩემი ბრალია, ჩემი... ჩემს გამო მოხდა ყველაფერი...

კოკა - შენ რა შუაში ხარ?

ნანუცა - ვნატრობდი, ძალიან ცუდად ყოფილიყავი და ჩემს გარდა არავინ გყოლოდა მომვლელი (ხან იცინის, ხან ტირის) ამიხდა.

(კარზე ზარია, ნანუცა გადის და შემოყავს ნიკუშა, ქეთა, თათა. სასმელი და პაკეტებით ხაჭაპურები და ღვეზელები მოიტანეს, ხელდახელ აწყობენ სუფრას, როგორც სახლში ისე გრძნობენ თავს. ნიკუშა შეკეთებულ სიგარეტს გააძრობს და ამ დროს შეამჩნევს რომ კოკა ნაცემია)

ნიკუშა - რა არი ბელმონდო, გცემეს?...

კოკა - ჰო, მაგრად...

ნიკუშა - ვინ ტო? სად? უბანში?

კოკა - უბანში არა...

ნიკუშა - რო მოგიყვანო იცნობ?

კოკა - მასკებში იყვნენ.

ნიკუშა - უტრაკოები... შენ ვის რა დაუშავე... გტკივა ბელმონდო? (აწოდებს შეკეთებულ სიგარეტს) აჰა მოწიე.

ნანუცა - არ უნდა (ცდილობს ხელის შეშლას) არ მოწიო...

კოკა - არაფერია ნანუცა, ამას სამკურნალოდ ხმარობენ, სწორედ ასეთ დროს...

ნიკუშა - სამკურნალოა ცუნცულ აბა რა... შენ რა გქვია?...

ნანუცა - (ძლივს იკავებს სიცილს) ნანუცა

ნიკუშა - ნიკა (ხელს ართმევს) ცუნცულ მე ჩემ ძმას რამეს დავუშავებ? (კოკა და ნიკუშა ეწევიან) შეხედე როგორ დაწყნარდა, გტკივა ბელმონდო? (კოკა იცინის, ნიკაც აყვა) ხო ხედავ აღარ ტკივა, გაგიარა ხო? (კოკა იცინის)

კოკა - ბელმონდო რა უნდა გითხრა... თურმე ეს ჩვენი დედამიწა რა სიჩქარით მიქრის... (იყურება მობილურში) 107000 კმ. საათში... ესე იგი 30 კქილომეტრი წამში...

კოკა - ატრაკებ...(იცინის)

ნიკუშა - არა ბელმონდო ძმობას გეფიცები... თან ბრუნავს (იყურება მობილურში) 1674 კმ. საათში... ანუ (იყურება მობილურში, კოკა და ნიკუშა იცინიან) ანუ 467 მეტრი წამში... როგორია 467 მეტრ წამში (იცინიან) როგორ არ ვვარდებით დედამიწიდან? (იცინიან) იმიტო რო დედამიწაა რა, დედაა...

კოკა - (იცინის) გვიზიდავს...

ნიკუშა - და რატო გვიზიდავს?...

კოკა - ვუყვარვართ და გვიზიდავს, არ გვყრის აქედან... (ჩაბჟირდნენ)

ნიკუშა -(აღარ იცინის) ჩვენ კიდე როგორ ვექცევით, დედას კი არა, დედინაცვალს არ მოექცევიან ასე... ბოიშვილი ვიყო მეცოდება ტო... (ცრემლი მოერია) ამას რო რამე დაემართოს, რა უნდა ვქნათ... მოტვინე 107000კმ. საათში, ვინმე რო დაეჯახოს ან ვინმეს რო დაეჯახოს... ხო დედა აღარა გვყავს...

(რეკავს ქეთას ტელეფონი. ეკრანზე მოჩანს ბუთა)

ქეთა - აუ, ჩემი... ბუთა მირეკავს ციხიდან... (თიშავს. ზარი მეორდება) ახლა აღარ მოისვენებს. (თიშავს... რამდენიმე წამში ნიკუშას ტელეფონი რეკავს)

ნიკუშა - აუ, ახლა მე მირეკავს... გაგეცა რა ხმა... ჰო ბუთა გისმენ...

ბუთა - (ეკრანზე) შეჩემისა, რამდენჯერ უნდა დაგირეკო რო ხმა გამცე შე ახვარო... რა გგონია სულ აქ ვიქნები? გამოვალ და ცოცხალს არ დაგტოვებთ არცერთს... თქვე ახვრებო, ყველას მაგივრად მე ვზივარ და თქვენ გულაობთ არა?

ნიკუშა - რას ვგულაობ?... ბუთა ვერ ვხვდები ჩემზე რატო ხარ ესე? რამეს გიშავებ?

ბუთა - შე ნაბიჭვარო, ხო გთხოვე, ქეთას ყურადღება მიაქციე მეთქი... ეგრე აქცევ ყურადღებას ხო?

ნიკუშა - როგორ ეგრე ტო?

ბუთა - სად დაათრევ მაგ გოგოს ტო?... რა გინდოდა მთელი ღამე კოკასთან? ეხლა არ თქვა არაო თორე ენას მოგაჭრი... ეხლა შენთან არი ქეთა? ვურეკავ და მითიშავს. (ნიკა ქეთას ანიშნებს დაელაპარაკეო, ქეთა შუბლზე თითს იტრიალებს-გაგიჟდიო?) რა პაუზებს არტყავ ბიჭო, მანდ არი? მიეცი ტელეფონი.

(ნიკა აძლევს ტელეფონს ქეთას)

ქეთა - ჰო ბუთა გისმენ...

(ბუთას სახე შეეცვალა, ეტყობა მართლა უყვარს ქეთა)

ბუთა - ქეთა... გოგო, რა გინდა შეჩემისა... ჩემი ხელიდან გინდა სიკვდილი? ხო იცი როგორ მიყვარხარ, დედამიწაზე მარტო შენ მიყვარხარ შე ნაბოზარო... (ქეთა თიშავს ტელეფონს)

ნიკუშა - რა ქენი ტო!... მომკლავს... (რეკავს ქეთას მობილური, შემდეგ ნიკასი)ნომერი რომელიც თქვენ აკრიფეთ გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან... (თიშავს. რეკავს ქეთას მობილური)

ქეთა - ნომერი, რომელიც თქვენ აკრიფეთ რეგისტრირებული არ არის... (თიშავს, ნიკა და ქეთა თიშავენ ტელეფონს. იცინიან)

ნიკუშა - ასიანი რაღაცა მეწყინება, რამდენი ვიცინეთ ტო...

(რეკავს კოკას მობილური, ეკრანზე კი ჩანს ნაცემი ირაკლი, რომელსაც სამი ნიღბიანი ადგას თავზე)

კოკა - გისმენთ ირაკლი.

ირაკლი - კოკა მოკლედ, სიტუაცია შეიცვალა... კოკა ხო მარტო ხარ? ხო არავინ გისმენს?

კოკა - მარტო არა ვარ, მაგრამ არავინ მისმენს...

ირაკლი - ხო მეც მარტო ვარ, ჩემს გარდა აქ არავინ არ არი.. ახლა მისმინე კარგად (ცდილობს მიანიშნოს, რომ რასაც ამბობს იმას არ ფიქრობს) მთელი შენი მასალა, რაც გაქვს ახლავე მოიტანე ტელევიზიაში... არაფერი დაგრჩეს... რატო? იმიტო... ასეა საჭირო. ვინ უნდა მაიძულებდეს არავინ არაფერს არ მაიძულებს... ხო გითხარი მარტო ვარ... გელოდები, არაფერი დაგრჩეს... ხაზგასმით გეუბნები... კოკა, გაიგე ხო რა გითხარი?... ახლავე მოდი ტელევიზიაში და მოიტანე მთელი მასალა... გაიგე ხო? კოკა, ხო მიხვდი რასაც გეუბნები?...

კოკა - ჰო ირაკლი მივხვდი... (ტელეფონი გათიშა, ეკრანი ჩაქრა) ზურა მოვდივარ...

ზურა - ჰოო?...

კოკა - მოვდივარ, იდიოტი ხო არა ვარ, მეც ხო მინდა ცხოვრება... დარეკე აეროპორტში.

ზურა - ვრეკავ...

ნანუცა - (ზურას) სად მიდიხართ? (კოკას) გინდა წამოვიდე?...წამოვიდე?

(ყურადღებას არ აქცევს არავინ. ნანუცა დაავიწყდათ... ასეთები ავიწყდებათ ხოლმე... ის კი დგას და ვერ გაურკვევია რა ხდება...)

ზურა - (ზურა რეკავს აეროპორტში. ვერ გადის კონტაქტზე) რა ხდება?...

(შემოდის ავთო)

ავთო - (დაინახა ნაცემი კოკა) რა არი ბიჭო გცემეს?

კოკა - ჰო...

ავთო - ვინ?

კოკა - არ ვიცი...

ავთო - რა მოიფიქრე?

კოკა - წავალ...

ავთო - აბა რაა!... ძალიან კარგი. ხვალ დილით წადი.

კოკა - წავალ... იდიოტი ხო არა ვარ... (ნიკუშა იქვე ტრიალებს, უსმენს)

ავთო - როგორც კი გადახვალ საზღვარზე, დაგხვდებიან, წაგიყვანენ, დაგაბინავებენ, მესამე დღეს გამოგაცილებენ, აქაც დაგხვდებიან საზღვართან... ყველაფერი კარგად იქნება... აჰა გასაღები, მანქანა ეზოში დგას, საბუთები ბარდაჩოკშია... მე ტაქსით წავალ. ეს ფული გამომართვი გზაში დაგჭირდება. (გადის)

კოკა - ზურა...

ზურა - ვერ ვრეკავ აეროპორტში, რაღაცა ხდება...

კოკა - არ გვინდა აეროპორტი, მანქანა დაგვიტოვეს...

ზურა - დაგვიტოვეს? ჰოდა ეგრე, გზის ფულიც დაგვეზოგება

ნიკუშა - მივდივართ ბელმონდო?

კოკა - შენ სად მიდიხარ?

ნიკუშა - კოკა, ძმა... წამოვალ რა?! ზურა წამიყვანეთ რა... აქ არ დამტოვოთ ტო... გამოვა ბუთა და დამბრიდავს... არ გეცოდები? წამოვალ და მერე ჩემდათავად აქ დამბრუნებლის... წავალ ტო... ოცნებას ავისრულებ... ხო ამერიკაში მივდივართ?... ჯაზზე ვაფრენ, ტომი ბენეტის ნახვაზე და მოსმენაზე ვოცნებობ, ტიპი ოთხმოცდათორმეტი წლისაა და კიდე მღერის, იქნებ ჩავუსწრო ცოცხალს... ჯაზმენების ძველი თაობა ოთხმოც წელს გადაცილებულები არიან და კონცერტებს მართავენ... გიჟები ტო... ქვინსი ჯონსის, ჰერბი ჰენკოკის, კეიტ ჯანეტის მოსმენის შანსია ტო... წამიყვანეთ რა ამ ზღაპარში რა... (უცებ ცუდად გახდა) ეე კუკური ცუდადა ვარ (ნიკუშა წაიქცა, პანიკა. გოგოები კივიან. ბიჭები წყალს ასხამენ, სახეში ურტყამენ. ნიკუშა გონზე ვერ მოდის. ქეთა ისტერიკაშია)

ქეთა - ვაიმე, მეც გადამაყლაპა რაღაცა...

თათა - სასწრაფოს დავურეკოთ

ზურა - არ გვინდა, სასწრაფოზე ადრე პოლიცია მოვა...

(ნიკუშას მკერდზე აწვებიან, გულის ამუშავება უნდათ, ქეთა ხელოვნურ სუნთქვას უტარებს. ზურამ წამოაყენა ნიკა და ერთი მაგრად გაულაწუნა სახეში, ნიკამ თვალი გაახილა)

ნიკუშა - ეე კუკური... რა მოხდა ტო?...

კოკა - მაგას ქვია პერედოზი...

ნიკუშა - გავითიშე? ხო ვამბობდი, იმდენს ვიცინით რაღაც გვეწყინება მეთქი... აჰა... (ქეთას) შენ როგორა ხარ?

ქეთა - მაგრა შეგვაშინე... დებილო, დეგენერატო არაფერი არ გახსოვს?...

ნიკუშა - არა...შეგეშინდა? გიყვარვარ ტო?..

(რეკავს კოკას მობილური, ეკრანზე კოკას დედაა)

კოკა - ჰო დე... გისმენ.

დედა - კოკა დედა, როგორ ხარ?

კოკა - კარგად დე, კარგად...

დედა - სიზმრებმა შემშალა... წამოსვლა მინდოდა, ჩაიკეტა აეროპორტები, არ მიშვებენ... ქუჩაში ვერ გავდივართ... აგვიკრძალეს, თქვენთან რა ხდება?

კოკა - ჩვენთანაც, ჩაიკეტა აეროპორტი... ერთ ორ კვირაში გაიხსნება ალბათ... თავს მოუარე, ჩემზე არ ინერვიულო.

(რეკავს ქეთას ტელეფონი, ეკრანზე ბუთაა)

ქეთა - ჰო ბუთა...

ბუთა - ქეთა, რა ხდება ქალაქში, სასწრაფოები დარბიან ჩართული სირენებით... ეპიდემიაა... შენ როგორ ხარ შეჩემა? სხვა არ მაინტერესებს... ქეეთ... ხო გიყვარვარ?

ქეთა - აბა რაა!?..

ბუთა - ფრთხილად იყავი... შენ რო რამე დაგემართოს, ვერ გადამირჩები... გამოვალ და სტავროპოლში წაგიყვან... მაგარი ძმები მყავს იქ (რეკავს კოკას მობილური, ეკრანზე ავთოა)

ავთო - კოკა, არ მიდიხარ ხვალ, საზღვარი ჩაკეტილია, ეპიდემია თუ პანდემიაააო... მოკლედ ჩაიშალა ეს საქმე დროებით... ხვალ მომიყვანე მანქანა...

კოკა - კარგი, მირეკავენ ავთო... მოგიყვან მანქანას... (ეკრანზე ირაკლია) ჰო ირაკლი გისმენ...

ირაკლი - კოკა მიხვდი ხო რას გეუბნებოდი, იარაღით დამიდგა სამი ნიღბიანი, სამივე ვიცანი, ის მასალა საიმედოდ შეინახე, მაგრა დაგვჭირდება... მოიცა კოკა ლოლა მირეკავს... რა უნდა ამ ჩემისას... (ეკრანზე ლოლაა) გისმენ ლოლა, რა გინდა?

ლოლა - ირაკლი, დამაბრუნე ტელევიზიაში... დამაბრუნე თორემ არ ვიცი რას გიზამ... არ მოგასვენებ... ირაკლი.. გადავწყვიტე... მოვალ ამაღამ შენთან...

ირაკლი - სად მოხვალ ლოლა, გარეკე? ვერ ხედავ რა ხდება ქალაქში?

(ამის შემდეგ სულ აირია ყველაფერი, დიდი ეკრანი რამდენიმე ეკრანადაა დაყოფილი... ადამიანები ახლობლებს მობილურებით ეძებენ, შემთხვევით მულტფილმი ჩაირთო, შემდეგ გაქრა, მაგრამ მუსიკა დარჩა. , ზოგან ექიმები ჩანან ზოგან მთავრობის წევრები. ჯერ ჩვენი, შემდეგ სხვადასხვა ქვეყნების მეთაურები. ზოგან ბავშვთა გუნდი მღერის...)

ზურა - სად წახვალ... ვინ გიშვებს?... ჩავიკეტეთ ამ ცაფირუზხმელეთზურმუხტიან დედააფეთქებულ სამშობლოში...

ნიკუშა - ხო ვამბობდი იმდენს ვიცინით რაღაც გვეწყინება მეთქი... აჰა... კუკური, აღარ ვუყვარვართ დედამიწას... ბრუნავს და მიჰქრის 107000 კმ. სიჩქარით საათში... ბოიშვილი ვიყო გადაგვყრის აქედან...

(მულტფილმის მუსიკა გრძელდება... გაოგნებული პერსონაჟები ერთად დგანან... ასე უფრო დაცულად გრძნობენ თავს... უცებ ერთერთმა დააცემინა... ყველა გაიფანტა...

ეკრანზე დასაწყისის კადრები ჩანს, ოღონდ პირიქით, რვასართულიანი კორპუსი ნუცუბიძის ქუჩა, საბურთალო, თბილისი, საქართველო, კავკასია. აქ რაღაც აფეთქებები მოჩანს, ევროპა, კონტინენტები, ოკეანეები და მბრუნავი პლანეტა დედამიწა...კოსმოსი... ზეგიგანტური შავი ხვრელი ვარსკვლავს ყლაპავს...)

დასასრული?..